შეთანხმება N 13/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№13 ხელშეკრულებაში ცვლილების თაობაზე
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000001)

ქ. თბილისი „08“ „ივლისი“ 2014წ.

ერთის მხრივ, შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“, შემდგომში - „შემსყიდველი“, წარმოდგენილი **დირექტორის მინდია კახიძის** სახით და **მეორეს მხრივ, შპს "რომპეტროლ საქართველო"** შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის თენგიზ ჭიჭინაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, ,,2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის N1816 განკარგულების, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების, ხელშეკრულების მე-10 მუხლისა და 2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის 2014 წლის 20 ივნისის სხდომის #11 ოქმის საფუძველზე, ვთანხმდებით N13 ხელშეკრულებაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების 2.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.2. საწვავის შეძენა პირველ ეტაპზე (2014 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 1 ნოემბრისა) განხორციელდება და პლასტიკური ბარათების საშუალებით, მეორე ეტაპზე - აგაი სისტემის საშუალებით, მხოლოდ იმ ავტორიზებული ავტომანქანებისთვის და იმ საორიენტაციო რაოდენობით რაც მითითებულია ხელშეკრულების დანართში (დანართი N2 ლიმიტები და ავტომანქანების მონაცემები). საწვავის მიღება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების დანართით (ავტოგასამართი სადგურების სია დანართი N3) განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.“.
2. ხელშეკრულების 5.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის ბარათების ან აგაი სისტემის მეშვეობით (აგაი სისტემა უნდა დაინერგოს 2014 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 1 ნოემბრისა) მიწოდება; ბარათების, ტალონებისა და აგაი სისტემის დანერგვა/გადაცემის შემდეგ მათი ან/და მათი ნაწილის დაკარგვის, დაზიანებისა ან/და განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე.“.
3. ხელშეკრულების 5.1. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) უზრუნველყოს 2014 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 1 ნოემბრისა აგაი სისტემის დანერგვა (პლასტიკური ბარათების და აგაი სისტემის მოხმარების წესები განისაზღვრება დამატებითი დანართით). მიმწოდებელი თავად ირჩევს აგაი სისტემის შემსყიდველის ავტორიზებულ ავტომანქანებში დანერგვის ადგილს, რის თაობაზეც ატყობინებს შემსყიდველს წინასწარ, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ მითითებულ ადგილას უზრუნველყოს მისი ავტორიზებული ავტომანქანების მიყვანა. პლასტიკური ბარათების გაცემის და აგაი სისტემის დამონტაჟების პრიორიტეტულობა შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით განისაზღვრება მიმწოდებლისა და შემსყიდველის შეთანხმებით. აგაი სისტემის დანერგვის შემდეგ, საწვავის პლასტიკური ბარათების ან/და ტალონის სახით მიწოდება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, სატენდერო დოკუმენტაციის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანებისა ან/და სატენდერო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება პარამენტრებს, რომლებიც საჭიროა აგაი სისტემის დანერგვისთვის, შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ავტომობილის ტექნიკური გამართულობა და შესაბამისობაში მოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში აგაი სისტემის დაუმონტაჟებლობის გამო მიმწოდებელს ეხსნება პასუხისმგებლობა.

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია 2014 წლის 1 ივლისიდან და მოქმედებს ზემოხსენებული ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.
5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ზემოხსენებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი”	შპს ,,რომპეტროლ საქართველო“
ს.კ. 245426490	*ს.კ. 204493002*
ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა №154	*ქ. თბილისი, გამრეკელის ქუჩა N19*
დირექტორი	კომერციული დირექტორი
მინდია კახიძე	თენგიზ ჭიჭინაძე